ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3468284

ნომერი: AR1531143

თარიღი : 10.08.2017

გაცემის თარიღი : 11.08.2017

გაცნობის თარიღი : 11.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N37-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , (ნაკვ.01/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ სხირტლაძე პ/ნ 01008014126
- თბილისი, ქუთათელაძის #2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 25 კუბ.მ-მდე მოცულობის და 2.2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე აუზი, ღია საცურაო აუზი, ჭა და წყარო ახალი მშენებლობა
- 25 კუბ.მ-მდე მოცულობის და 2.2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე აუზი, ღია საცურაო აუზი, ჭა და წყარო ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 10 აგვისტოს AR1531143 განცხადება.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოები თავისიმახასიათებლებით არ განეკუთვნება I კლასის სამუშაოებს, რის განხორციელებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ხორციელდება 48კუბ.მეტრი რეზერვუარის მოწყობა.

განგიმარტავთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ"საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (პირველი სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; მეორე სტადია – არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; მესამე სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა). მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წამოების დაწყება.

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად საპროექტო სამუშაოები საჭიროებს მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გავლას – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, საჭიროა განაცხადი დაარეგისტრიროთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებაზე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.